საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 13 ნოემბერი, 2020 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/11

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და 43-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში- „უნივერსიტეტი"/„ბხსუ") აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრულიოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნებისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები:

პროფესორი - 200 საათი;
ასოცირებული პროფესორი- 250 საათი;
ასისტენტ-პროფესორი - 320 საათი;
ასისტენტი- 350 საათი;

ბ) მუსიკის ფაკულტეტი:
- საშემსრულებლო მიმართულებით:
პროფესორი - 600 საათი;
ასოცირებული პროფესორი- 650 საათი;
ასისტენტ-პროფესორი -700 საათი;
კონცერტმაისტერი - 700საათი;

-მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის მიმართულებით:
პროფესორი - 300 საათი;
ასოცირებული პროფესორი- 350 საათი;
ასისტენტ-პროფესორი -400 საათი.

2. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნებისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე დასაშვებია აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა 10 (ათი) საათით ნაკლებს ან მეტს შეადგენდეს. დატვირთვაზე ზევით 10 (ათ) საათამდე პროფესორს არ აუნაზღაურდება.

3. მუსიკის ფაკულტეტზე დასაშვებია აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა 20 (ოცი) საათით ნაკლებს ან მეტს შეადგენდეს. დატვირთვაზე ზევით 20 (ოც) საათამდე პროფესორს არ აუნაზღაურდება, ხოლო დეკანის დატვირთვა 1 (ერთ) საშტატო ერთეულზე დასაშვებია 50 (ორმოცდაათი) საათით ნაკლები.

4. უნივერსიტეტის პერსონალს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფლება აქვს შტატს ზემოთ შეითავსოს არაუმეტეს 200 საათისა, მუსიკის ფაკულტეტზე აკადემიურ პერსონალს და კონცერტმაისტერს კი არაუმეტეს - 300 საათისა.

5. ემერიტუსი შეიძლება მოწვეულ იქნას საათობრივი ანაზღაურების წესით: სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არაუმეტეს - 100 საათისა. მუსიკის ფაკულტეტზე საშემსრულებლო მიმართულებით არაუმეტეს 300 საათისა, ხოლო თეორიული მიმართულებით არაუმეტეს -150 საათისა.

6. საშტატო ერთეულის სავალდებულო დატვირთვის, მათ შორის ელექტრონული (დისტანციური) სწავლების ფორმატის შემთხვევაში, შემადგენელი კომპონენტებია:
-ლექცია/პრაქტიკული/სემინარი;
-ნაშრომის ხელმძღვანელობა;
-პრაქტიკის ხელმძღვანელობა.

7. საშემსრულებლო მიმართულებით ხელმძღვანელის დატვირთვა შეადგენს:
-საბაკალავრო ნაშრომისათვის -15(თხუთმეტი) საათი1(ერთ) სტუდენტზე;
-სამსახიობო სპეციალობაზე-60 საათი ჯგუფზე;
-სამაგისტრო ნაშრომისათვის-40 (ორმოცი) საათი 1(ერთ) სტუდენტზე.

8. თეორიული მიმართულებით ხელმძღვანელის დატვირთვა შეადგენს:
საკურსო ნაშრომისათვის- 5 (ხუთი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე;
საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი - 20 (ოცი) საათი1(ერთ) სტუდენტზე;
საბაკალავრო რეფერატის ხელმძღვანელობა -10 (ათი) საათი 1(ერთ) სტუდენტზე;
სამაგისტრო ნაშრომისათვის- 40 (ორმოცი) საათი 1 სტუდენტზე, კვლევითი პროექტი -15 (თხუთმეტი) საათი 1 სტუდენტზე.

9. დასაშვებია ერთი პირის მიერ, სასწავლო წლის განმავლობაში, ერთდროულად არაუმეტეს 5 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

10. პრაქტიკის ხელმძღვანელობა:
-საწარმოო პრაქტიკა ჯგუფზე 1კრედიტი-3 საათი;
-საველე პრაქტიკა ჯგუფზე 1 კრედიტი-4 საათი;
- გასვლითი პრაქტიკა ძეგლზე 1 კრედიტი - 10 საათი;
- პედაგოგიური/სასკოლო პრაქტიკა ერთ სტუდენტზე - 8 საათი;
- სამუზეუმო პრაქტიკა - 1 კრედიტი - 6 საათი;
- პრაქტიკა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში/სამხატვრო გალერეაში - საუნივერსიტეტო ხელმღვანელისათვის 1 კრედიტი - 6 საათი;
- პრაქტიკის ხელმძღვანელი დაწესებულებიდან -1 კრედიტი - 7 საათი;
- პრაქტიკის საუნივერსიტეტო ხელმძღვანელის დატვირთვა - 1 პროგრამა 25 საათი.

11. აკადემიური პერსონალის ყოველწლიური (სასწავლო წლის) სასწავლო (სამუშაო) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბხსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტს ამზადებს ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი, შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის ინიცირებული ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის (თანდართული სამუშაო დატვირთვის სქემით) საფუძველზე.

12. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის №04-01/57 დადგენილება.

13. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

14. დადგენილება ამოქმედდეს 2021-2022 სასწავლო წლიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**